



აახი წართლის
სახალმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ენა და ლიტერატურა

ქუთაისი
2011

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინგლისური ენა და ლიტერატურა

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

4. სწავლების ენა: ქართული

5. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში (MA in English Philology)

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. მეგრელიშვილი

აწსუ ინგლისური ენის დეპარტამენტი

ტელ: 8431 244660

e-mail: mail@knia.ge

7. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:

აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრატურის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, აქედან სასწავლო კომპონენტს დაეთმობა 90 ECTS კრედიტი, ხოლო დანარჩენი 30 ECTS კრედიტი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას. სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო კურსები - 15 კრედიტი
- ინგლისური ენათმეცნიერება - 25 კრედიტი
- ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა – 20 კრედიტი
- პროგრამის არჩევითი კურსები – 25 კრედიტი
- საკურსო ნაშრომი - 5 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

8. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში. პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც

- მიღებული აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რომლის ფარგლებშიც მას ათვისებული აქვს ინგლისური ენისა და ლიტერატურის მინიმუმ 60 კრედიტი;
- ჩაბარებული აქვს წერილობითი გამოცდა სპეციალობაში, რომელსაც იბარებს საუნივერსიტეტო დარგობრივი კომისია;
- სასურველია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო პუბლიკაციები, საერთაშორისო სერთიფიკატები, სტაჟირება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში (ამ მონაცემების მქონე სტუდენტებს უპირატესობა მიენიჭებათ გამოცდის ჩაბარებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში)

9. პროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა 'ინგლისური ენა და ლიტერატურა' გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტის მიერ შეძენილი ზოგადი ფილოლოგიური ცოდნის სიღრმისეულ გაფართოებას და ახალი დარგობრივი კომპეტენციების შექმნასა და განვითარებას. პროგრამა მოიცავს ინგლისური ენათმეცნიერებისა და ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებს და მიზნად ისახავს მაგისტრანტის ჩამოყალიბებას მაღალი კომპეტენციის მქონე ფილოლოგ-ინგლისტად, რომელსაც ექნება ღრმა ცოდნა დარგის განვითარების თავისებურებათა შესახებ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამ მიზნიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა ისახავს შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

- განავითაროს მაგისტრანტთა დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციები ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში (როგორც ლინგვისტიკის ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით) და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შეუქმნას მათ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად;
- სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირების გზით მაგისტრანტს შესძინოს მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის დამოუკიდებელი მოძიების უნარ-ჩვევები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს მათი ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება საკუთარი დარგობრივი ცოდნისა და უნარების ადაპტაციაში აკადემიური თუ სხვა ნებისმიერი კონტექსტის მოთხოვნების მიხედვით.

10. სამაგისტრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

სამაგისტრო პროგრამა 'ინგლისური ენა და ლიტერატურა' შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება:

- გაეცნობა ლინგვისტიკის ცალკეული დარგების თეორიული საფუძვლებსა და კვლევათა მეთოდოლოგიურ თავისებურებს. მათ შორისაა ფუნქციონალური გრამატიკა, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა;
- შეისწავლის ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს (ლინგვისტიკისტიკა, დისკურსის ანალიზი, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა)
- დაეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებებს და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიას, ეტაპობრივად გაეცნობა (მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურული ტექსტის კითხვა) საპროგრამო

ნაწარმოებებს (ინგლისური რომანის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური დრამის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური ლირიკის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური ლიტერატურა და თეატრი, მითოსი ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში);

- დაეუფლება ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებსა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს (დ/ე და ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია, შედარებით-ტიპოლოგიური ლიტმცოდნეობის საფუძვლები)
- შესაძლებლობა მიეცემა შეიცნოს ინგლისური ფილოსოფიური აზროვნების კულტურის სპეციფიკური ფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინგლისური ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტრადიციების ჩამოყალიბება (დარგის ფილოსოფია); გაეცნობა კულტურის რაობას, მის ფუნქციებს, სტრუქტურას და კულტურათა სოციოდინამიკას (კულტუროლოგიის საფუძვლები).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სტუდენტს ჩამოუყალიბდება

- ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენების უნარი;
- მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურის, დამუშავებისა და თარგმნა-კომენტირების უნარი;
- როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების განხორციელებისათვის ემპირიული მასალის, ლიტერატურის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და დალაგების, კვლევის შედეგების შეჯერების უნარი;
- ფილოლოგიის სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისათვის ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ორიგინალური გზების მოძიების უნარი;
- საკუთარი მაღალი ენობრივი კომპეტენციის (ინგლისურ ენაში) აკადემიურ გარემოში გამოყენების უნარი;
- ავთენტური ტექსტების შერჩევისა და კითხვის, ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომპეტენციის განხორციელების, დარგობრივ საკითხებზე დისკურსის წარმართვის და კრიტიკული შეხედულების კონსტრუქციული გზით გამოხატვის უნარი.

დასკვნის გაკეთების უნარი:

მაგისტრანტს შეეძლება

- ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და მეცნიერული ანალიზი კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით;
- მოპოვებული ინფორმაციისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზის შედეგად სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

- პროგრამის ფარგლებში ათვისებული ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზირება საკუთარი კვლევის ინტერესების და მიზნების შესაბამისად.

კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს

- კომუნიკაციის მაღალ დონეზე წარმართვას (როგორც ენობრივი გამართულობის, ისე ფუნქციური ადექვატურობის თვალსაზრისით) აკადემიურ საზოგადოებაში მშობლიურ და ინგლისურ ენებზე;
- კურსის განმავლობაში შესწავლილი თეორიული დებულებებისა თუ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში მიღებული დასკვნების და განზოგადებების პრეზენტაციას;
- ტექნიკური საშუალებების (აუდიო, ვიდეო, DVD, კომპიუტერი, პროექტორი, პოსტერი) გამოყენებას კვლევის შედეგებისა და სასწავლო მასალის აუდიტორიისათვის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით;
- ინტერნეტრესურსების აქტიურად გამოყენებას სასწავლო-კვლევით პროცესში, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე კვლევების შედეგად მიღებული სიახლეების სწრაფ ხელმისაწვდომობას.

სწავლის უნარი:

პროგრამის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება

- საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასების უნარი;
- როგორც ჯგუფური, ისე დამოუკიდებელი სწავლის უნარი
- სწავლის სტრატეგიების მდიდარი რეპერტუარის
- ცოდნის სამომავლო გაღრმავების გეგმების სწორად განსაზღვრის უნარი;
- დროის მართებულად ორგანიზების უნარი, რაც ვლინდება დამოუკიდებელი სამუშაოს სწორ განაწილებასა და დროულ შესრულებაში;
- სირთულეების გადალახვის საკუთარი სტრატეგიის შემუშავების უნარი;
- სწავლის პროცესის დაგეგმვასა და საკუთარი კვლევის მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობის უნარი.

ღირებულებები:

სამაგისტრო პროგრამის გავლა განუვითარებს მაგისტრანტს უნარს

- გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და მულტიკულტურული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის;
- გაიაზროს, ობიექტურად შეაფასოს და პატივი სცეს სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებებს;
- ზუსტად განსაზღვროს გარკვეულ ენობრივ თუ მენტალურ სტერეოტიპებთან საკუთარი და სხვათა დამოკიდებულება და მონაწილეობა მიიღოს მათ მიმართ ახლებური პოზიციის ჩამოყალიბებაში;
- დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები სასწავლო და კვლევითი მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება საგნებთან/მოდულებთან:

	ფუნქციონალური პრაგმატიკა	ლინგვოსტიკა	დისკუსიის ანალიზი	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	ინტერსური ქნის სემანტიკა	ინტერსური რუმანის ისტორიული კონტეინტა	ინტერსური დრამის ისტორიული კონტეინტა	ინტერსური ლიტერატურის ისტორიული კონტეინტა	დ/ე და აბსტრაქტული ლიტერატურული კონტეინტა და ლიტერატურის თეორია	ინტერსური ქნა 1	ინტერსური ქნა 2	დარბის ფილოსოფია	ინფორმაციული ტექნოლოგიები	XIX ს. ინტერსური თეატრი და დრამატურბია	შეღარბი-ტიკოლოგიური ლიტერატურის საფუძვლები	სოციოლინგვისტიკა	სამხინოეო წერის საფუძვლები	სამხინოეო მწერალი	კულტურული საფუძვლები	მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია	მითოსი ანბლო-ამბროსო მითოლოგიული ლიტერატურაში
ცოდნა	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
გაცნობიერება																						
ცოდნის პრაქტიკაში გამოყ. უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
არგუმენტირებული დასკვნის უნარი	+	+		+	+	+	+						+	+	+	+	+	+		+	+	
კომუნიკაციის უნარი	+	+	+		+	+	+				+	+		+	+	+	+	+			+	
სწავლის უნარი	+				+	+		+	+	+				+	+	+	+	+	+	+	+	+
ღირებულებები					+			+							+	+	+	+		+	+	

11. დასაქმების სფეროები

პროგრამა მაგისტრანტს აყალიბებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტად, რომელიც შეიძლება დასაქმდეს როგორც სასწავლო-პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო სფეროში, იმუშაოს ჰუმანიტარული პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. უფრო კონკრეტულად, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- მეცნიერება და კვლევა – მეცნიერ-მუშაკი, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლა;
- კვლევითი ინსტიტუტები: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ლიტერატურის ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
- განათლება – რეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი (უმაღლესი სასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო);
- საგამომცემლო საქმე – კორექტორი, სტილისტი, ტექნიკური რედაქტორი
- ჟურნალისტიკა – მოდერატორი, კორესპონდენტი, რედაქტორი (რადიოსა და ტელევიზიაში);
- კორექტორი და კორესპონდენტი (ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში);
- სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში – მდივან-რეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი;
- პოლიტიკა – საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო ფონდები და ორმხრივი პროექტები;
- კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურები – გამყოლი/მეგზური, მენეჯერი (მუზეუმები, საერთაშორისო გამოფენები და ფესტივალები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობა – რეფერენტი (რეკლამა, მარკეტინგი);
- ადმინისტრირება – მოხელე/ადმინისტრატორი, მენეჯერი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – რეფერენტი (არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქეოლოგიური გათხრები და ა.შ.)

12. პროგრამის სტრუქტურა

№	დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო მუშაობა								საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				უნიფერა	
		ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიუ	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი		
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	სულ	I სემ.	II სემ.	III სემ.		IV სემ.
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები															
1	ინგლისური ენა 1	48		48		5				5	4				
2	ინგლისური ენა 2	60		60			5			5		4			
3	სამეცნიერო წერის საფუძვლები	24	8	16		5				5	2				
ინგლისური ენათმეცნიერება															
1	ლინგვისტიკის ისტორია	24	18	6		5				5	2				
2	ინგლისური ენის სემანტიკა	30	20	10			5			5		2			
3	ფონოლოგიის ანალიზი	30	20	10			5			5		2			
4	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	30	15	15				5		5			2		
5	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	30	24	6				5		5			2		
ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობა															
1.	ინგლისური რომანის ისტორიული კონტექსტი	24	18	6		5				5	2				
2.	ინგლისური დრამის ისტორიული კონტექსტი	30	24	6			5			5		2			
3.	ინგლისური ლირიკის ისტორიული კონტექსტი	30	15	15				5		5			2		
4.	დ/ე და ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია	24	18	6		5				5	2				
არჩევითი კურსები I						5									
1.1	დარბის ფილოსოფია	24	16	8		5				5	2				
1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	24		24		5				5	2				
არჩევითი კურსები II															
2.1	ფუნქციონალური გრამატიკა	30	20	10			5			5		2			
2.2	XIX ს. ინგლისური თეატრი და დრამატურგია	15	10	5			5			5		1			
არჩევითი კურსები III															
3.1	შეღარებით-ტიპოლოგიური ლიტერატურის საფუძვლები	30	15	15				5		5			2		
3.2	სპინკურის მწერალზე	30	22	8				5		5			2		
არჩევითი კურსები IV															
4.1	სოციალიზმის ისტორია	30	20	10				5		5			2		
4.2	მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია	30	22	8				5		5			2		
არჩევითი კურსები V															
5.1	კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლები	30	20	10				5		5			2		
5.2	მითოსი ანგლი-ამერიკულ მითების შესახებ ლიტერატურაზე	30	20	10				5		5			2		

საკუთარი ნაშრომი						5			5					
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება								30*						
სულ					30	30	30	30		14	12	12		

13. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

* საათობრივი განაწილება იხილეთ შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში.

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

14. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

14.1. სამაგისტრო პროგრამა - ინგლისური ენა და ლიტერატურა - ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის და საზღვარგარეთის ლიტერატურის მიმართულებების პროფესორ-მასწავლებლების მიერ; კერძოდ, ლექციებს წაიკითხავენ: პროფესორები მ. მეგრელიშვილი, ვ. ოცხელი, ი. ცხვედიანი, მ.ებანოიძე, ასოცირებული პროფესორები ე.თოფურია, ი. გრძელიძე, თ. კობეშაძე, მ. კოლუაშვილი, რ. მიქაუტაძე, ასისტ. პროფესორი ნ. ზვიადაძე, მოწვეული სპეციალისტები მ. ალავიძე, ნ., ნიჟარაძე, ზ. ჩაჩანიძე, ბ. ფორჩხიძე, ქ.ჭელიძე (CV-ები თან ერთვის).

14.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მძლავრი კომპიუტერული ბაზა შესაბამისი საუდიტორიო ფართით, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის პირადი სასწავლო სამეცნიერო წიგნთსაცავები. ასევე, გამოყენებული იქნება სხვადასხვა არქივებისა და წიგნთსაცავების ბაზები და ინტერნეტრესურსები.